

## საქართველოს კანონი

### „სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1.** „სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ 16.06.04წ., №14, მუხ. 50) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები;

1. კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნას.

2. კანონის მე-4 მუხლი ამოღებულ იქნას.

3. კანონის მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. საჯარო რეესტრი

საჯარო რეესტრი არის ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა, სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის წარმოშობის, მათში ცვლილებისა და მათი შეწყვეტის, ასევე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვების წარმოშობის შესახებ მონაცემთა ერთობლიობა.“.

4. კანონის მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 10. სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ორგანოები

1. სახელმწიფო რეესტრს, აწარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო) შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის და მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის მეშვეობით.

2. სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ორგანოები არიან:

ა) სამინისტრო;

ბ) სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – ეროვნული სააგენტო);

გ) სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სამოქალაქო რეესტრის სააგენტო (შემდგომში – სამოქალაქო რეესტრის სააგენტო);

3. ეროვნული სააგენტო აწარმოებს ამ კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ სახელმწიფო რეესტრს.

4. სამოქალაქო რეესტრის სააგენტო აწარმოებს ამ კანონის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ სამოქალაქო რეესტრს.“.

5. კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ კანონით, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონითა და სააგენტოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი (შემდგომში – მინისტრი).“.

6. კანონის 13<sup>1</sup> მუხლი ამოღებულ იქნეს.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს 2009 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი  
სააკაშვილი

მიხეილ